ნიანგი

№15 1940
თბილისი
გამომცემლობა „კომუნისტი“
ფასი: 1. მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა
29/XI 40
5
№ 447
ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ნახ. გ. ისაევისა

მწარე გამოცდილების გაზიარება

ქართველი მენშევიკი: — გამოცდილებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ეს ოქტომბერი ერთობ მოძრავი თვეა: მე მაგალითად, შინი სუსხი თებერვალში ვიგრძენი.

პრეზიდენტი სმეტონა: — ჭეშმარიტებას ბრძანებთ: მე და ჩემს ბალტიელ კოლეგებსაც სხვადასხვა დროს მოგვისწრო

იქაც მოდაზე იქცევიან

ნახ. გ. თოიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი: (მიქელ-გაბრიელს)—**დამლუპე ბიჭო? მშვიდობიანობის ანგელოზის დაჭრა არ მეყოფოდა, რომ შენც კანჭი არ მიგეტეხინებია იმ ფუგასური ყუმბარისათვის?!**

საოქჯომბრო

ოცდასამი წელი ბრძოლის—გავიდა,
რაც მონობა მოვიცილეთ თავიდან,
რაც დავმარხეთ ჩაგვრა მშრომელ ხალხისა,
რაც დავხიეთ ფარდა მძიმე თალხისა
და დიადი ოქტომბრის მზე—შვენებით
გვინათებს გზას—ჩვენი ზრდის და შენების
ვაუკაცობით ამ წლებს სად ჰყავს ტოლია?
თითო წელი საუკუნის ტოლია.
ძველი ყოფა მათი ხელით ჩაქვავდა,
და სამშობლო ახალ მზის ქვეშ აყვავდა...
და ქვეყანა სიამაყის ღიმილით,
დღეს აჯამებს უდიადეს თარიღებს;
სიხარულმა დამარხა სიმძიმილი,
გული მტკიცე, დაღლას წუთით არ იღებს.
გავძღოლივართ ბრძოლებს გრიგალებივით,
რაც ოქტომბრის დროშა დაგვიხევია,—
რომ გვესია მტრები მშიერ მგლებივით,
მათი ქურქი მუდამ დაგვიხევია,
ჩაგვიფუშავს გამცემელთა ჟინია,
და ჯანსაღებს-ჯანსაღად გვიცინია.
ეს სიცილი მტერს შხამად ეწვეთება,
ცოფი ახრჩობს, ემართება ფეთება,
მაგრამ დაე, ჩვენს გულში მზემ იალოს,
გამარჯვებამ დროშებად იფრიალოს..
დე მღეროდეს სიხარულით ქვეყანა,
ოქტომბერი ზეიმობდეს ყველგანა.

***

დღეს თექვსმეტი დროშის ღერბი ელვარებს
და ზეიმის სიხარული მღელვარე
საბჭოეთში სიმღერებად გუგუნებს
და ადიდებს სტალინურ საუკუნეს.
მიღწევები—ვით გაშლილი ალმები,
გამარჯვებულ ხალხს წინ მიუძღვებიან,
შრიალებენ ნარინჯები, პალმები,
ყანა ღელავს და მტევნები დნებიან.
მკვალში ძალა და ბეღელში ხვავია,
ბარაქას სთოვს მიწა ბაღად ქცეული,—
მშენებლობა—დღემდე უნახავია,
გული მზეობს, რომ მტერია ძლეული.
მღერის ხალხი, ბედნიერი სიცილი
და სიამე არის დღეს მისი წილი.
ეს სიცილი დუშმანს ლახვრად ხვდებოდეს,
ჩვენს გულში კი ჰანგად იქარგებოდეს,
რომ სიმღერით ვიყოთ მისი მკობელი,
ვინც გვაჩუქა მზე—სხივჩაუქრობელი,
ვინც სამშობლოს ზაფხული გაუთენა,
ვინც სამყაროს ახალი გზა უჩვენა,
ვინც ზღვებსაც კი მდინარება უცვალა,
ხალხებს კვნესა—სიმღერად შეუცვალა
და ჩვენ მოგვცა მის ძალა და უნარი,
რომ ხალისი გვქონდეს გაუხუნარი
ამ ხალისით, ამ ჰანგებით—შვებისა,
მოგვაქვს დროშა ახალ გამარჯვებისა.
დე, მღეროდეს სიხარულით ქვეყანა,
ოქტომბერი ზეიმობდეს ყველგანა!

ფარსადანი

მე—პარაშუტისტი

ჩემს ყმაწვილობაშიაც იყო ხტომა, ოღონდ არა პარაშუტით. ვხტოდით სრულიად უბრალოდ, ყოველგვარი პარაშუტის გარეშე. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ მარტივ ფაქტში, რომ მაშინ საპარაშუტო სპორტი სრულიად არ იყო განვითარებული.

მიუხედავად ამისა, მაინც ვხტოდით, ხანნებით ხან უნებლიეთ. მაგალითად, ჩვენი ნებით ვხტოდით ღობეზე, რომ მეზობლის ხეხილის ბაღში გადავპარულიყავით. უნებლიეთ, ძალაუნებურად გადმოვხტი ვაშლის ხის კენწეროდან, როდესაც ბაღის პატრონმა შორიდან დამინახა და დაუყოვნებლივ გამოექანა ჩემსკენ.

გავიდა ხანი: ბარე ოცდაათი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე მშრომელებმა ორი უხეირო მთავრობა გადმოაყირავეს მაღლიდან ყოველგვარი პარაშუტების გარეშე და კისერი მოსტეხეს.

ჯანაბამდეც გზა ჰქონიათ!

ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში, როგორც მოგეხსენებათ, სულ სხვანაირად დატრიალდა საპარაშუტო სპორტის საქმე.

ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონულ ცენტრში საავიაციო ხელოვნებას სწავლობენ, თვითმფრინავებს დააქროლებენ, ათასობით მეტრის სიმაღლიდან ხტებიან, საპარაშუტო კოშკებიდან მოფრინავენ,—მოდი და ნუ გახდები პარაშუტისტი.

მიუხედავად ყველა ამისა, გამოვტყდები და ვიტყვი, მართალია, ზოგადად ვეთაყვანები საპარაშუტო სპორტის განვითარებას ჩვენში, მაგრამ პირადად მე აშკარად მეშინოდა გადმოხტომა, თუნდაც საპარაშუტო კოშკიდან: ერთიც ვნახოთ და გაწყდა თოკი! ესეც ხომ ვაშლის ხე არაა—კარგი ასი-ორასი მეტრია და ბოლოს, მე ახლაც ხომ ათი წლის არა ვარ, ორმოცმა წელმა დამიკაკუნა!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ავიაციისა და პარაშუტიზმის ეპოქაში, ხომ ვერ იტყვი, რომ პარაშუტით გადმოხტომა არ გაჯადოებს? ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა რაიონულ ცენტრში ჩავედი, მეგობრებთან საუბარში მე წამომცდა, რომ საპარაშუტო სპორტი ჩემი გატაცების საგანს წარმოადგენს.

— მაშ შენც ასე გიყვარს?—დაინტერესდა ერთი მათგანი.

— გაგიჟებით!—წამოვიძახე მე.

— რამდენი გადმოხტომა გაქვს?—შემეკითხა მეორე.

— ბევრი არა, მაგრამ...

— მაინც?

— ხუთჯერ თვითმფრინავიდან გადმოვხტი, ოცი-ოდეჯერ კოშკიდან...

მეგობრები დაეჭვდნენ. ისინი მართლა გატაცებული პარაშუტისტები იყვნენ და ჩემი ასეთი ოსტატობა გაუკვირდათ.

— რატომ არაფერი გაგვიგონია მაგის შესახებ?—ეშმაკური ღიმილით მკითხა ერთმა.

— არ მიყვარს თავის ქება... ისედაც, ვის გაუკვირდება ასეთი ამბავი, განა თვითეული თქვენგანი, არ ხტის ხოლმე?

დამეთანხმენ, რომ ისინიც პარაშუტისტები არიან, მაგრამ მოითხოვეს, მათთვის მეჩვენებინა ჩემი ოსტატობა. რაკი ვიცოდი, რომ მათ არავითარი კოშკი არ ჰქონდათ, სიამაყით განვუცხადე:

— სიამოვნებით, მაგრამ კოშკი არა გაქვთ და სახლის სახურავიდან ხომ ვერ გადმოვხტები.

ფავზარი დამეცა, როცა მიპასუხეს:

— მაგაზე ნუ იდარდებ: კოშკი გვაქვს.

მართლაც, ისეთი საპარაშუტო კოშკი მაჩვენეს, რომ თვალთ დამიბნელდა. მანქანით მივედით ქალაქის ახალ ბაღში, რომელშიაც მედიდურად აღმართულიყო მაღალი საპარაშუტო კოშკი.

— როდის ააშენეთ? რა მშვენიერია! — აღელვებით წამოვიძახე მე.

— ერთი წელია!—სიამაყით მიპასუხეს. ჩემი მღელვარება მათ მეტის-მეტი სიხარულით ახსნეს...

— აბა, ერთი გადმოხტი, გვიჩვენე შენი ოსტატობა!—წინადადება მომცა ერთმა.

რაღას ვიზამდი. შევუდექი კიბეს. ჩემთან



ერთად ბევრი ამოდიოდა. ზევიდან განუწყვეტლივ ხტებოდნენ. ჩემი მეგობრები ქვევით იდგნენ ხალხში...

„მშვიდობით, ცოლო და შვილო“,—მწარედ გავიფიქრე მე—.ის თოკი ალბად გაწყდება და...“

უცებ გადავწყვიტე დაბრუნება. საფეხურებზე ჩამოვირბინე.

— რად დაბრუნდი, შეგეშინდა?—დაცინვით შემომძახეს მეგობრებმა. ცივმა ოფლმა დამასხა.

— არა... პორტფელი წამყვა... აქ დაიტოვეთ... ეს კალოშები და პალტოც...

დაიტოვეს. ხმაც არ ამოუღიათ.

ახლა კი ყველაფერი გათავებული იყო. უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. გავბრუნდი და ისევ ავყევი კიბეს.

„ქვეყანა პარაშუტით ხტება!“—ვუჯავრდებოდი გზაში ჩემს თავს,——„შენ რა ღმერთი გაგიწყრა?“ ხალხი შვიდიათასი მეტრიდან ხტება, სტრატოსფეროდან მოფრინავენ... ბოლოსდაბოლოს, ქალები მასობრივად ხტებიან, ვაუკაცი არა ხარ?..

ბოლოს ავედი. ჩემს წინ ექვსი კაცი იყო. მორჩილად დავიკავე რიგი.

ჩემი ჯერიც მოვიდა.

— იქნებ ჯერ სხვებს სურთ გადახტნენ?—ვიკითხე მე.

— აჰ, როგორ გეკადრებათ! მობრძანდით! უცხო კაცი ხარ,—მომაძახეს აქეთ-იქიდან. კოშკის გამგემ უკვე გადამაცვა ღვედები.

— იქნებ ვინმეს გეჩქარებათ, ან ბავშვიანი ხართ მობრძანდით, გადახტით, მე დავიცდი.

—უკვე უიმედო და საცოდავი ღიმილით გავიძახოდი მე.

ულმობელი გამგე მაჩქარებდა.

— გადახტით მოქალაქე, აქ ავტობუსის რიგი კი არ არის,—შემომიტია მან.

— გადავხტე? სიამოვნებით...

— აბა ჩქარა!

— ამ წუთში... მე პარაშუტიზმის ენთუზიასტი ვარ...

— მით უკეთესი! ერთი! ორი!...

მე გადმოვხტი.. გადმოვხტი კი არა, გადმოვარდი. თვალთ დამიბნელდა და ის იყო, გული უნდა წამსვლოდა, რომ ძლიერად შემანჯღრია ღვედებმა, ჩემს ზევით თეთრი აბრეშუმის ქოლგა დავინახე და შრიალით წამოვედი თავქვე... ძირს ჩასვლამდე მოვიკრიფე ძალა, ენერგია, გონება და ნებისყოფა, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც გამაჩნდა და მარჯვედ დავხტი მიწაზე.

წარმოიდგინეთ: არც ტაში, არც შეძახილები. მაყურებლებს ყურადღებაც არ მოუქცევიათ ჩემთვის. ისინი ზევით იცქირებოდნენ და მორიგ გადმოხტომას ელოდნენ. სრულებით გულგრილად მივედი მეგობრებთან. პალტო ჩავიცვი და თითქოს აქ არაფერიაო, ღამით ხტომაზე გავუბი საუბარი.

— რას ყოყმანობდი იმდენხანს კოშკზე?—მკითხა ერთმა.

— ისე... კოშკის დირექტორი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა და იმას ველაპარაკებოდი.... ჰო, იმას ვამბობდი,—განვაგრძე მე,—ღამით გადმოხტომა უფრო ძნელია, ვიდრე დღისით, მაგრამ არც იმდენად...

— როგორ, შენ ღამითაც გადმომხტარხარ?

— სამჯერ... ერთხელ ხმელეთზე, ორჯერ ზღვაში...

— ეს მეტად საინტერესოა,—შემაწყვეტინა ერთმა,—დღესასწაულზე ჩამოდი და თვითმფრინავიდან გადმოვხტეთ ერთად, ოღონდ დღისით.

რაღას ვიზამდი. სიტყვა ჩამომართვეს...

მას აქეთ ექვსი თვე გავიდა. ეს ექვსი თვეა, სისტემატურად ვვარჯიშობ პარაშუტით ხტომაში. პირველად კოშკიდან ვხტებოდი, ახლა კი ნამდვილი პარაშუტისტი ვარ და ისევე, როგორც ასიათასობით სხვები, მეც ვხტები თვითმფრინავებიდან და ვემზადები, რომ დღესასწაულზე ჩემს მეგობრებს ვუჩვენო ჩემი საპარაშუტო ოსტატობა.

ალლარ-ალლარსან.

ნახ. ჭანკვეტაძისა

გაქანების კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობი: —მე ფართო გაქანების კაცი ვარ, ხელი უნდა შემიწყოთ, სცენაზე გახაქანი უნდა მომცეთ...
რეჟისორი: — რა ვქნა ჩემო ძმაო, სცენაზე საქანელას ვერ ჩამოგიბამ და ისე კი ცდას არ ვზოგავ, მაგრამ შენს გაქანებას არაფერი ეშველა.

ნახ. ხავინისა

კომპეტენტური აზრი კრივზე



უბრალო მოქალაქე: —ყველა სპორტს პატივს ვცემ, მაგრამ კრივის არაფერი მესმის, რა აზრი აქვს ამ თავ-პირში ცემას?
კრივის ენციკლოპედისტი: — რას ბრძანებთ! შუბლში მაგარი მუშტის დაჯახება მისწრებაა ზოგი ტვინის ასამოძრავებლად.

ჩემი თავდასხმა ქუთაისზე

ვისაც რა უნდა ის თქმა აირჩიოს სადღესასწაულო ნომრისათვის.

მე კი ერთი ქალაქის ჯავრი მჭირს. მინდა ერთი მაგრად გავთათხო ამ სატელეფონო ნომერში, რაც ნაკლი აქვს გამოვამზეურო.

დავალებაც ისეთი მივიღე, რომ ჩემი განზრახვის შესრულებას ხელს უწყობს.

—კაცო, მთელი ნომერი რომ მიღწევებს ვუძღვნათ, თვითდამშვიდებას დაგვაბრალებენ—სთქვა ნიანგმა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — მივუგე მე, — ნაკლზე მე დაგიწერთ...

— აბა მოუსვი!

ქუთაისზე თავდასხმის გეგმა წინასწარ შევიმუშავე.

ჯერ უნდა მიმეტანა იერიში ქალაქის კეთილმოწყობაზე, შემდეგ თავს უნდა დავ ხმოდი საწარმოებს, კულტდაწესებულებებს და ასე შემდეგ.

ჩამოვედი ქუთაისის სადგურში დილის 9 საათზე.

მოდი ჯერ ავტობუსების მუშაობას შევუტევ. მახსოვს მთელი საათობით რომ მაცდევინებდნენ. გამოვედი ქალაქში და ვეძებ ჩამოსაჯდომ ადგილს, რომ ავტობუსს დაველოდო, მაგრამ დახეთ მარცხს. ავტობუსი მყისვე ჩამოდგა და ხალხმა იწყო დასხდომა.

—ეს ვერ მომივიდა დუშაში,—ვიფიქრე მე,—მაგრამ ალბად შემთხვევით მოხდა. აბა, დავუცადო მეორეს. დარწმუნებული ვარ დიდხანს მომიხდება ცდა.

ავტობუსი წავიდა.

მაგრამ არ გასულა 5 წუთიც კი და მისი ადგილი მეორე ავტობუსმა დაიკავა. ხალხმა ყოველგვარი პანიკის გარეშე იწყო დასხდომა.

—არა, ეს რას გავს?—ვფიქრობ და მზად ვარ გავბრაზდე,—ჯიბრზე არ ჩავჯდები!—დავუმატე ხმამაღლა.

და ფეხით გავუყევი გზას.

—ჯერ ამ მთავარ ქუჩას დავესხმები თავს,—გადავსწყვიტე მე.

მივდივარ.

კრიტიკული თვალით ვათვალიერებ ყველაფერს.

მაგრამ ეს რა უბედურებაა ჩემს თავს! ქუჩა მშვენივრადაა გადაჭიმული. ასფალტი შემომცინის. ქუჩის ორთავე მხარეზე ახლახან ჩაურგავთ დიდებული მწვანე მცენარეები, თითქოს ჩემს ჯიბრზე სწორედ ჩემი ბინის წინ (რომლის მცხოვრებადაც ჯერ კიდევ ვითვლები) აღუმართავთ სამი მშვენიერი მწვანე ნარგავი.

—ვფიქრობ და იმედიანად განვაგრძობ გზას, რადგან კეთილმოუწყობელი ქუჩები მრავლად მეგულვება.

გავჭანდი გოგებაშვილის ქუჩისკენ, რომლის შესახვევებში კაცს ვერ გაევლო ნარვალებში გადაჩეხვის შიშით.

ჯერ კიდევ შორიდან მომესმა:

—კაკ, კუკ, კაკ, კუკ!

მივედი. ტვინში დამცეცხლა. რამდენიმე ბრიგადა მისდგომია ქუჩას და ქვაფენილებს მართავს.

ველარ შევიკავე ბოღმა:

—რა თავს იგდებთ თქვენ კაცო აქ... ჯიბრზე ხართ თუ რაშია საქმე?

უფროსი მუშა დამნაშავესავით გამომეჭიმა.

—ცოტა შეგვიფერხდა ამხანაგო, მაგრამ ამ ქუჩასაც ორიოდე დღეში მოვათავებთ.

უცებ მომაგონდა ბროსეს და მაიაკოვსკის ქუჩები. ბროსეს ქუჩაზე მხოლოდ ჯამბაზებს შეეძლოთ სიარული და ისიც დღისით.

—ახლა კი ვერსად წამიხვალთ! —ვსთქვი და მოვუსვი დასაპყრობი ობიექტისაკენ. ჯერ მაიაკოვსკის ქუჩაზე გავბითურდი. მოუასფალტებიათ. ქვაფენილები დაუგიათ.

—არა, მართლა ჩემ ჯიბრზედაა, თუ რას მივაწერო?

ერთ კარგად მოკირწყლულ ქუჩაზე გამოვედი. ეს ქუჩა არც მახსოვს ქუთაისში.

— ერთი შენს გაზრდას, — მივმართე გამვლელს, — მითხარით ბროსეს ქუჩა სადაა, რაღაც მხარი მეცვალა, ველარ მივაგენი, აი, ძველი ოღრო-ჩოღრო ქუჩა რომაა.

—სწორედ ბროსეს ქუჩაზე ხართ ახლა!

—რას ხუმრობთ, ყმაწვილო, ეს სადაური ბროსეს ქუჩაა!..

—თვითონ ბროსე აქაური არ უნდა იყოს, ბატონო, მაგრამ ქუჩა კი მისია—სთქვა გამვლელმა და დამტოვა.

—სამუდამოდ დავემდურები კომგანის გამგეს ვ. ფურცხვანიძეს,—ვამბობ გულებაში, ეს სულ მისი ოინებია.

ერთადერთ იმედს ვამყარებდი ჯაჰვის ხიდზე. სწორედ ამ ზაფხულს ამ ხიდში ხუმრობის გარეშე ჩავარდა კამეჩი.

—ამ კამეჩის ჯავრს ახლა ამოვიყრი!—ვსთქვი და გავიქეცი ხიდისაკენ.

აქ ნაღდვილად გავცხარდი: თავის სიცოცხლეში გვერდებჩალეწილ ჯაჰვის ხიდზეც კი ასფალტი გაუკეთებიათ ამ უგამჩენობს.

ჯაჰვის ხიდმა ქუთაისის ახალი ხიდის მშენებლობა გამახსენა.

—აი, სად ექნებათ ჩამორჩენა,—გავიაზრე და გავიქეცი.

შუაგზა არ მქონდა გავლილი რომ წინ შემომხვდნენ ქალაქის საბჭოს მუშაკები. ხელში მომაჩეჩეს გრძელი ფოტო-სურათი.

„მეოთხე ხიდის საერთო ხედი“—წავიკითხე წარწერა. სურათი გვიჩვენებდა სავსებით დამთავრებულ მშენებლობას.

თავს იმით ვიმშვიდებ, რომ თავდასხმის გეგმა ჯერ კიდევ არ არის ამოწურული.

დაღლილ-დაქანცული წამოვედი ქალაქის ცენტრისაკენ.

— ახლა კი გავკეთდი კაცი, — გავიფიქრე, — ბაღში შევალ, დასაჯდომს ვერ ვიშოვი—აქედანვე ვიცი...

მიეუახლოვდი ბაღს და არც კი შევსულვარ შიგ. გარედანვე შევამჩნიე — ახალთახალი გრძელი სკამები ჩაუმწკრივებიათ.

ამდენი დამარცხებებით თავბრუდახვეული უეცრად უცნობ გარემოში აღმოვჩნდი. თვალები მოვიფშვნიტე. მგონი ქუთაისში არა ვარ.

—არა, ეს ქუთაისი არ არის,—ვფიქრობ და თვალებს ვუშტერებ ახალ, დიდ და მშვენიერი ქალიშვილივით ნომლიმარე შენობას.

სასტუმრო „ქუთაისი“—ვკითხულობ აბრას ახალ შენობაზე.

დავამთავრე რა ქალაქზე თავდასხმა, რაც ჩემი სრული დამარცხებით დასრულდა, შევუტიე ქუთაისის ინდუსტრიულ უბნებს. პირველყოვლისა, სამკერვალო ფაბრიკაზე მივიტანე იერიში. წინ შემეფეთა ფაბრიკის დირექტორი ვ. კვატაშიძე.

—კარგი გამარჯობა!—შევესალმე დირექტორს.

—ყოვლად შეუძლებელია ძმაო,—სხაპასხუპით სთქვა მან,—7 ნოემბრამდე ვერ მოვასწრებთ. ჯერ რაც შეკვეთა მიიღო საამქრომ, ის უნდა შესრულდეს!..

—კაცო, რომელ შესრულებაზე მელაპარაკებით, მე გამარჯობა გითხარით.

—როგორ, მაშ თქვენ კოსტუმისა და პალტოს სათხოვნელად არ მოსულხართ?!!— განცვიფრებით მკითხა დირექტორმა.

—რის კოსტუმი, რის ბოზბაში!..

—თქვენ გაცოცხლათ გამჩენმა... მობრძანდით კაბინეტში. დაბრძანდით.—მიმითითა მან სკამზე.

—მე მინდა ჩამომიწეროთ რა დეფექტები გაქვთ საწარმოში. რაც შეიძლება ბლომად ჩამოსწერეთ!

—ეხლავე!—სთქვა მან და მაგიდის ზარს თითი დააჭირა. კარებში ადამიანი გამოჩნდა.

—საექიმო პუნქტიდან ჭეიშვილის ქალს დამიძახეთ... თერმომეტრი თან იქონიოს,—ამბობს დირექტორი.

არ გასულა დიდი დრო, რომ საკმაოდ სიმპატიური გარეგნობის ქალი შემოვიდა.

—ნინა, ერთი ეს ამხანაგი კუთხეში მიიყვანეთ და სიცხე გაუზომეთ, რაღაც მაგის ლაპარაკი მაეჭვებს.

სასწრაფოდ წამოვხტი სკამიდან:

—ვის უბედავთ! არ მომეკაროთ...

—არა, გაგიზომავთ მაინც რა გენალვლებათ. ტემპერატურის გაზომვა რას დაგაკლებთ!—ზრდილობიანად მომმართა ქალმა.

—კაცო რა გახტუნებს რომ ხტუნავხარ,—შემომიტია ისევ დირექტორმა, — სიცხე თუ არ გაქვს, აბა რომელ დეფექტებზე მელაპარაკებით... როდის გინახიათ ჩვენს ქვეყანაში 7 ნოემბერს დეფექტებით ხვდებოდნენ! მიბრძანდით თუ შეიძლებოდეს...

ხმაურზე პარტკომის მდივანი ჭ. რობაქიძე შემოვიდა.

—ჯერ მიღწევები ჩაიწერეთ, — სთქვა მან—აი ხომ ხედავთ ფანჯრიდან იმ სახლს, საერთო საცხოვრებელია. წელს ავაგეთ. წელს ერთი ორადაა გაზრდილი პროდუქციის გამოშვების გეგმა, შარშან, ხომ გახსოვთ, გვყოფნიდა მუშახელი. წელს მოიყვანეთ ათასი, ორი ათასი. ყველას მივიღებთ, ბინას მივცემთ, ჩაკაცმაგთ, დავხუარავთ. ჩვენი სტახანოველები წელსაც დიდ-ოქა

დანარჩენი სიტყვები აღარ გამიგონია ისე სწრაფად გამოვვარდი გარეთ, ჩავირბინე კიბე და ქუჩაში გავჩნდი.

იქვე საკონსერვო ქარხანას მივადექი.

—რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კონსერვის ხარისხს. წელს ქვეყანას მივსცემთ 14 მილიონ ქილა კოხს...

დაფიქრებული მივადექი ფეხსაცმელების კომბინატს, რომლის დირექტორი გ. დალაქიშვილი სერიოზული პოზით შეხვდა,

—ალბად ფეხსაცმელებისათვის მობრძანდებოდით.

— რაში მატყობთ, რომ ფეხსაცმელებზე მოვედი! — ვკითხე მე წყენით.

—ახ, ბოდიში, სხვა საქმეზე ხართ მოსული?.. დიდი ბოდიში. ბრძანეთ!

მაგრამ „ბრძანება“ ვერ მოვასწარი. მიფრინეს კაბინეტიდან.

შემოვუტიე რიონის მარცხენა ნაპირს: აბრეშუმის კომბინატს, ლიტოპონის ქარხანას, შუშის ქარხანას, ტრანსპორტს, სხვასადასხვასა...

ყველგან ერთი და იგივე მესმოდა:

—„ქვეყანას მივსცემთ .. გეგმის ზევით... და ა. შ.

—აი, შეგირცხვათ ულვაში!—ვიწყევლები მე ძველი ქუთაისელივით.

* *
*

კარგა შეღამებული იყო, როცა ქალაქის ცენტრში აღმოვჩნდი.

ბოღმით სავსემ დავაპირე ქუთაისელ მოქალაქეებზე მეყარა ჯავრი.

—ახლა ხომ მთელი ქუთაისი თეატრში იქნება!—ვიფიქრე და მივადექი თეატრის კარებს.

—ბილეთები ყველა გაყიდულია!—სთქვა მეკარემ.

—კი მაგრამ, მე ხომ იცით ვინც ვარ... მე მიზნისათვის მოვდივარ!

—ვიცით თქვენი მიზანი,—ამბობს თეატრის ადმინისტრატორი,—თქვენ გინდათ აქ ნაკლი უნახოთ თეატრს და დამსწრე საზოგადოებას...

—შემოუშვით მაგ თავლაფდასხმული. ასე ინტრიგებში ამოუვა სული მაგ უბედურს! — მომესმა ზევიდან ხმა.

ავიხედე ზეცისკენ, მაგრამ დავინახე მხოლოდ მუხლები. ხმა კი ძალიან მაღლიდან ისმოდა. ლაპარაკობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დოდო ანთაძე, რომელსაც მუხლში ხელმკლავი გავუყარე და შევედი თეატრში. შევუდექი დათვალიერებას.

მინდა ზოგს ჩაცმულობა დავუწუნო. ზოგს თმების განლაგება.

ყველა სპექტაკლის გარშემო ბაასობს.

— ახ, მშვენიერია მეგრელიშვილი! ჭიკჭიკებენ ქალები.

— ვენაცვალე გელაშვილს! მსჯელობენ ვაჟები.

ერთ კუთხეში ქუთაისელი ჟურნალისტები კამათობენ:

— პიესის დეტექტიკური განსხვეულება რეჟისორს მოუცია, ასე ვთქვათ აპრიორული გაგებებით!—ამბობს პეტია ბახტურიძე—ქუთაისის თეატრის სტაჟიანი რეცენზენტი.

—მაგრამ სულიაშვილს უფრო ეხერხება ტიპაჟის გახსნა ესთეტიკური პრობლემატურობის ბიო-ექლექტიკური ნიუანსების ატროფირებით!—კამათობს დოცენტი, ჟურნალისტი და რედაქტორი—გ. ჯიბლაძე.

მე გეთანხმებით დადგმის ირრაციონალურ გაგებაში!—უმატებს ახალგაზრდა მეცნიერ ჟურნალისტი შ. ჭურიძე.

სპექტაკლი გრძელდება.

აქაც დავმარცხდი.

უკვე ღამის 1 საათია.

— მოგილოცავთ დღესასწაულს! — უკვე ისმოდა აქაიქ.

7 ნოემბერი თენდებოდა.

სადგურისაკენ რომ მივდიოდი, ქალაქი ილუმინაციებით ბრწყინავდა.

გენო ლიაძე

ჯუილი გარჯა

ნახ. გ. ისაევისა



— ხედავ? ქანქარაშვილს თავის ქალა ახადეს, ტვინის ოპერაციას უკეთებენ.

— საწყალი ქირურგები. ჩემთვის რომ ეკითხათ, შრომა ალარ დასჭირდებოდათ.

— როგორ?

— ქანქარაშვილთან ერთად ვმუშაობდი და ვიცი, რომ რასაც ეგენი ეძებენ, მას არ გააჩნია.

ღვინო, როგორც ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ღამის ორი საათი ავიდა, როცა ქეიფი მალალ სტადიაში ავიდა. ფუბადამ (გიორგი ქებაძემ) ჩაის ჭიქებით „საქმე“ რომ მოარიგა“, შემდეგ ლიტრიანი ყანწები ჩამოარიგა. ჯერ ნეფე-პატარძალი დალოცა, გვერდში მჯდომ მეზობლის ქალს ხელზე აკოცა, შემდეგ კი ჯვარწერილთა მშობლებს ულსურვა ცხოვრება ნაყოფიერი და გრძელი, მოიხსენია მათი კეთილებიც — ახლები და ძველი. მანვე ადღეგრძელა მაგიდის წევრნი, შინაურნი და გარეულნი, ერთის სიტყვით ბევრნი.

ღვინის სმამ თამადის ორგანიზმი წყალდასხმულ კირივით მოაქცია, გათენდა და სამუშაოზე წასვლის დრომაც მოაწია. გზაში გიორგის თავი მძიმედ გაუხდა, გუნებაც წაუხდა, ფეხებმაც აურიეს სიარული, მოკლედ წახდა ჭაბუკი მხიარული.

ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში მისვლის დროს გიორგიმ ერთი წაიბარბაცა და დარწმუნდა გულის ფრიალით, რომ კოპერნიკი მართალი ყოფილა — დედამიწას ჩარხივით შესძლებია ტრიალი.

ერთი საათის შემდეგ კი ცოტა მიწყნარდა ეს ამბავი და გიორგიმ ლრმა ძილს მისცა თავი. ქებაძეს ეხლაც არ ახსოვს, თუ როგორ მიიყვანეს ის ადგილობრივ მედპუნქტში, სადაც ის დააკომპრესეს ხუთ წუთში.

მესამე დღეს ეს საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა, აქვე სასამართლო გაიმართა და გიორგი მსაჯულთა წინაშე წარსდგა. მან სასამართლოს უთხრა, რომ მიეღოთ სახეში და შეეტანათ საქმეში, რომ მასპინძლისას სუფრა ნაშუალამევს გაიწყო, ქეიფიც გვიან დაიწყო, რომ დილას პირდაპირ იქიდან სამუშაოზე მოვიდა და შემდეგ კი არ ახსოვს საით წავიდა ან წამოვიდა.

მეორე არგუმენტიც დაასახელა, როცა კარგა ხანს ახველა: თურმე მან მხოლოდ ერთი ბოთლი ლიმონათიანი ღვინო გამოცალა, რომელმაც ქებაძე სავსებით გამოცვალა.

თან ოტელოსავით დასძინა, რომ ის გულის სიგანივრით არის ავად და, გასაგებია თავის თავად, რომ მცირე ღვინოც მისთვის ზიანს მოიტანს, იგი ბევრ დალევას ვერ აიტანს.

მაგრამ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო არც ღვინოში ლიმონათის გარევა, არც საქმეში მოწმეთა ჩარევა, არც ძმაკაცების ხვეწნა, არც აჯა, მას ორი თვით ხელფასიდან ხუთმეტი პროცენტის გამობრა მიუსაჯა.

როგორც თქვენც ხედავთ, განაჩენი ერთობ რბილია, მაგრამ გგონიათ ქებაძე კმაყოფილია?—ჯავრობს და ანჩხლობს, მოიშველია ძმაკაცები ყველანი, მოიმარჯვა კალამი და მელანი, სწყინს, რათ არ ერევა მის საქმეში ჟურნალი, ან გაზეთი, რომ გასამართლონ არა ქებაძე, არ ,ედ ღვინო—როგორც ასეთი.

მართლაც, რომ სრულფასიანია ეს განცხადება, და ღვინის მიმართ წაყენებული ბრალდება უნდა განვიხილოთ მაშინ მაინც, როცა სასჯელი გაუთავდება გიორგი რაინდს.

ძნელოლლი.

მხიარული და მოწყენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული

ოქტომბერს მეოცდასამეს
სიხარულით ხვდება მუშა.
ამბობს: ჩვენთვის დარი დარობს,
ჭკვიბის ზეცა მოიღუშა.

ქარხნებს და მეურნეობებს
მაღლა უჭირავთ თავები:
სოციალისტურ სამშობლოს
არგეს სიმდიდრის ხვავები.

მხიარულ სახით გამოდის
დღეს კოლმეურნე ყოველი;
ორდენოსანი ქებული,
დამკვრელი, სტახანოველი.

თექვსმეტი რესპუბლიკის ხალხს
ყველას უღიმის პირია,
განმტკიცდა ძმური კავშირი,
დავსძლიეთ გასაჭირია.

მოწყენილნი

მეოცდასამე ოქტომბერს
მლიქვნელი ხვდება შიშითა,
იცის ვერ გავა იგი ღონს
ძველებურ ანგარიშითა.

ჭორს ვერ ბედავს და
ისე კი—მისთვის არ დარობს დარია
ზარმაცი თავს თვლის ულირსად
მშრომელთა რაზმში ერიოს.

ტკბილი სიტყვებით შავ საქმის
დამალვა უკვე ძნელია.

დაცინვა, ზიზღი, შერცხვენა,
ფიქრობს ვით მოიგერიოს.

კარგად გაიგო სულ ყველამ
რომ იგი არის მელია.
ვეღარ გამოდის პარადზე
მეჭორე გულგამსკდარია,

ხულიგნებს რქები მოსტეხეს
ვეღარ ბედავენ რქენასა.
ვეღარ ხმარობენ მუშტი-კრივს
და ვეღარც მურტალ ენასა.

ყირიმელი.

მოულოდნელი ხიფათი

ამ ზაფხულის დამლევს პალტო მომპარეს. გადავწყვიტე დროით მეზრუნა ახალი პალტოს შეძენაზე. იმ დღიდან ვიწყე უნივერმაღში სიარული, მაგრამ, ვინაიდან მე იქ არც ერთ გამყიდველს არ ვიცნობდი, საქმე გამიჭიანურდა.

— ჯერ სეზონი არ დაწყებულა, გადი ბაზარში და ცოტათი ნახმარი პალტო შეგხვდება,—მირჩია მეგობარმა. რჩევა ჭკუაში დამიჯდა და ერთ გამოსასვლელ დღეს ბაზარში გავჩნდი. ვხედავ, ერთ კაცს ცოტათი ნახმარი პალტო გადაუკიდია მკლავზე და მყიდველს ეძებს, გავისინჯე, კარგად მომადგა. ცოტა წავაჭრების შემდეგ ფასზეც მოვურიგდი და შინ გახარებული დავბრუნდი. პალტო მომიწონეს. აცივდა კიდეც. ახალ შეძენილ პალტოში თავმომწონედ დავდიოდი.

ერთ დღეს სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი.

— უკაცრავად, ერთი წუთით,—შემაჩერა ვიღაც ბრგე ვაჟკაცმა.

— ნება მომეცით დავათვალიერო თქვენი პალტო — მთხოვა მან თავაზიანად.

ვიფიქრე ალბად ფასონი მოეწონა მეთქი. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

როცა მან ჩემი პალტოს გარეგანი დათვალიერება დაამთავრა, ცოტა მკვახედ მითხრა:

— გთხოვთ, ცოტახნით გაიხადოთ.

— არც მაგაზე გეტყვი უარს,—მივუგე მე.

გახდილ პალტოს მან მარცხენა სახელო გადაუბრუნა.

— ის არის, ის, ჩემია, აი წარწერა...მილიციონე-ერ!—შეჰკივლა მან მრისხანედ.

მილიციონერი უმალვე გაჩნდა.

— ქურდი დავიჭირე, ჩემი პალტოს ქურდი,—წამოიყვანე მილიციაში.

ასე შეურაცყოფილად ჯერ არ მიგრძნია თავი. მზად ვიყავ მივვარდნოდი ჩემს თავდამსხმელს, მაგრამ გამახსენდა ხულიგნოფასთან ბრძოლის კანონი და ისევ სიტყვიერად „გავლახე“.

— ვის უბედავ შეურაცყოფას, ვის უძახი ქურდს?—შევუტიე მეც.

— ერთი ამას უყურეთ, თავსაც რომ იმართლებს,—დაიღრიალა მან და მუშტი მომიღერა.

— ხელით შეხება, როგორ შეიძლება?—უთხრა მას მილიციონერმა,—აგერ დავაპატიმრებ და დანარჩენი სასამართლომ იცოდეს.

— ამხანაგო მორიგევ,—მიმართა ჩემმა დამღუპველმა მაგიდასთან მჯდომ მრისხანე მორიგეს,—როცა ჩვენ სამილიციო უბანში მიგვიყვანეს,—აი ჩემი ოჯახის ამომგდები,—მიუთითა ჩემზე და პალტოს სახელოზე აღნიშნულ წარწერის დასამტკიცებლად თავისი პასპორტიც გადასცა.

მორიგემ მრისხანე სახე მიიღო და შემომიტია:

— საჩქაროდ მოიტანე ამ კაცის დანარჩენი ნივთებიც,—თავს ნუ იკატუნებ.

მე თავიდან დავიწყე საკუთარი პალტოს დაკარგვისა და სხვის პალტოს შეძენის ისტორია. წინ დავუწყე ჩემი დოკუმენტები, დავუსახელე მოწმეები. ჩემმა გულწრფელობამ, ეტყობა გავლენა იქონია, მრისხანე მორიგეზე, მცირე ხანს დაფიქრდა და შემდეგ ქურდობის სარეგისტრაციო წიგნი გადასინჯა.

— მდგომარეობას ცოტათი ამსუბუქებს ის გარემოება, რომ თქვენ ამ წიგნში არ აღმოჩნდით,—დამამშვიდა მან,—მაგრამ პალტო მაინც პატრონს უნდა დაუბრუნოთ.

— კი მაგრამ მე ხომ ის ვიყიდე.

— არ უნდა გეყიდნათ,—შეუმოწმებელი პალტო არ უნდა გეყიდნათ. ახლა მიბრძანდით. ამის შემდეგ იგი პალტოს პრეტენდენტს მიუბრუნდა:

— მიიღეთ თქვენი პალტო.

გამარჯვებულმა მოდავემ ჩემს მიერ ნაყიდი პალტო ჩაიცვა, ამაყად გადმომხედა და ცივად გამომშისტუმრეს.

— არა, თავსაც რომ იმართლებს, ვითომ ალალმართალი იყოს. კიდევ შემხვდები, მაშინ გნახავ.—გამომაყოლა სიტყვა იმ ჩემი პალტოს პატრონმა.

— არა, მართლაც როგორ ბედავდი ვიღაც გამვლელისაგან პალტოს ყიდვას? ახია შენზე,—შემომიტია გაანჩხლებით ცოლმა, როცა ჩემი უბედურების ამბავი გაიგო.

მართლაც ახია ჩემზე.

კ. საფიჩხიელი.

ცხენის ჯავრი—უნაგირზე იყარეს

ნახ. **ან. კანდელაკისა**

„საფრანგეთში შემოიღეს ანტისემიტური კანონი, რომელიც ებრაელებს უკრძალავს ჯარში და სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს“. (გაზეთებიდან)



ფრანგი გენერალი: — (ებრაელ ჯარისკაცს) — **საფრანგეთი მადლობას გიხდით ჯარისკაცებო, მამაცურ ბრძოლისათვის.**



იგივე გენერალი: — **მართალია, ჩვენს ტერიტორიაზე დავმარცხდით, მაგრამ კოლონიების დაცვაში თქვენზე ამყარებს იმედს საფრანგეთი.**

იგივე: — **ვინა ხარ შენ?—საფრანგეთი არ გენდობა, შენი ბრალია, ჩვენ რომ გვირტყამენ...**

აი დაუჯერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახირებული პრეტენზიის მქონეა პატარა ლილი. იგი ექვსი წლისაა მხოლოდ, და დღედაღამეში ხუთმეტ საათს უცხადებს ტოკტიკში ატარებს.

ახლა საღამოს შვიდი საათია, გარეთ ბნელა, ლილი კი დედას უზის გვერდით და არ ეშვება:

— შენ ხომ დედა ხარ, ჩემი?

— კი, შვილო, დედა გენაცვალოს!

— მერე? იცი, რომ მე კარაქი მინდა?

დედა კარაქს წააცხებს პურზე, ლილის მისთავაზებს და „დესერტად“ მოფერებასაც დააყოლებს.

შემდეგ მამას „ეკვეთება“ ლილი:

— შენ ხომ მამა ხარ, ჩემი?

— კი, შვილო, მამა გენაცვალოს!

— მერე? იცი, რომ მე კანფეტი მინდა? და კალთაში უჯდება.

— შენ გიჟი ხარ, შვილო.—ხუმრობით ეუბნება მამა.

ლილის მოფერება უნდა: ამის გამო სერიოზულად ღებულობს მამის „ლანძღვას“ ცხვირს ჩამოუშვებს და განმარტოვდება. მშობლები ყურადღებას არ აქცევენ. ლილი ხვდება, რომ ასეთი საქციელით ხეირი არ გამოდის და კვლავ „ეკვეთება“ მამას:

— მამილო, შენ კანფეტებს ხომ სჭამ ხოლმე?

— კი, შვილო!

— მერე? რად ამბობ, რომ ვისაც კანფეტები უნდა, ის გიჟიაო?

მამას ეცინება და კანფეტის მიცემასთან ერთად მოფერებას დაუწყებს ლილის.

ლილი მაინც არ ისვენებს:

— მამილო, მიამბე რამე, რა!

მამა უხსნის ლილის, რომ მას არ სცალია, რომ ლილის აუარებელი საათამაშოები აქვს და შეუძლიან დამოუკიდებლად გაერთოს.

— მამილო, მიამბე რამე, რა მოგივა!—მაინც არ ეშვება ლილი.

მამა კალთაში ჩაისვამს ბავშვს და დაიწყებს:

— იყო და არა იყორა, იყო, ერთი ლონიერი კაცი...

— ძალიან ლონიერი იყო?—აჩერებს ლილი.

— ძალიან, შვილო, ასფურცელა ერქვა სახელად.

— მამი, შენ რომ იმ დღეს ამბობდი იმ კაცს მოერეოდა?

— რომელს შვილო, კანდელაკს? უსათუოდ... ის ასფურცელა, შვილო, რომ დადიოდა სულ ბელტებს ყლაპავდა.

— ტრაქტორი ყოფილა!—კომენტარიას უკეთებს ლილი.

— ტრაქტორი კი არა, კაცი იყო, ნამდვილი კაცი.

— ნამდვილი კაცი და ბელტების ყლაპვა, სად გაგონილა!

— ეს ზღაპარია, შვილო. ზღაპარში კი ტყუილი ამბები აუცილებელია.

— მაშ ზღაპარი არ მინდა, სხვა მიამბე, ნამდვილი ამბავი. ტყუილი რად ვარგა!

მამა თხოვნას უსრულებს ლილის:

— აქ, რომ ძია ზაქრო მოდის ხოლმე, შვილო, ხომ იცი?

—კი, მამა.

— აი იმ ძიას, შვილო, ძველად, მეფის დროს, ასეთი რამ შეემთხვა: გაციმბირებული, რომ იყო შეატყობინეს...

— გაციმბირება რაღაა, მამა?

მამამ ზუსტად უპასუხა შეკითხვას და განაგრძო:

— შეატყობინეს, რომ აქ მამამისი სიმშილით გარდაიცვალა.

— სიმშილით როგორ?!—უკვირს ლილის.

— როგორ და საჭმელი არ ჰქონდა და ისე.

— მამილო, შენ ისევ ზღაპარს მიყვებ.

— არა შვილო, ეს ნამდვილი ამბავია.

— დიაღ, როგორ არა, ნამდვილი ამბავი! სად შეიძლება, რომ კაცი სიმშილით მოკვდეს. პური და ყველი მაინც ვერ ჭამა? ეგ იმ ტრაქტორ-კაცას ნაირი ზღაპარია, არ მინდა ზღაპარი.

მამა დაეინებით უმარტავს, რომ ზღაპარი არ არის, რომ მეფის და მენშევიკების დროს მშრომელი ხალხი შიმშილობდა, მაგრამ ლილის მაინც ზღაპარი ჰგონია და ამბობს:

— მე ზღაპარი არ მინდა!.. მე ტყუილი არ მინდა!...

გია.

პაჭარა მოთხრობები

რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება

ტრამვაი ხალხით გაჭედილია. საფეხურებზე, ასასვლელებზე, გარშემო აკიდოსავით ახუნძლულა ხალხი.

— წინ წაიწიეთ მოქალაქენო,—ყვირის კონდუქტორი.

ყველა ხმაურობს, ერთმანეთს უსაყვედურებენ, ებუზღუნებიან.

მხოლოდ ერთი სქელპორტფელოსანი—ზამბახტრესტის დირექტორი ზის დამშვიდებით და გაზეთს ათვალიერებს ვაგონის გასავალთან—სკამზე, რომლის თავზეც გადმოკიდულია წარწერა:

„რვა ადგილი ბავშვიანი ქალებისათვის“.

გაჩერებაზე წინა ბაქნიდან ამოსული ძუძუთა ბავშვიანი ქალი კრძალვით მიმართავს და ეუბნება:

— უკაცრავად, ადგილი მინდა.

პორტფელოსანს ესმის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

— ბოდიშს ვიხდი, ადგილი მინდა,—უმეორებს ქალი.

— შემოიტანეთ წერილობითი განცხადება, შეავსეთ ანკეტა და პასუხისათვის შემოიარეთ ერთი კვირის შემდეგ.

— რას ხუმრობთ?—გთხოვთ დამიცალოთ ადგილი, რომელიც ბავშვიანი ქალისათვის არის განკუთვნილი, გაბრაზებით მიუგებს ქალი.

პორტფელოსანმა უცბად შეხედა, აწითლდა და ბოდიში მოიხადა.

— უკაცრავად, ფიქრში ვიყავ გართული და მეგონა დაწესებულების კაბინეტში ვიჯექი,—წაიბურტყუნა, წამოდგა და ვაგონიდან გავიდა.

დაკარგული საათი

გაბრიელ კირკიმელი სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნდა.

— სადილი,—შემოსვლისთანავე მკვახედ მოითხოვა.

სადილი მიართვეს.

— ეს რა არის, მარილი ვეღარ უქენით?

— მარილი? მე მგონია, რომ მარილი ზომიერათა აქვს,—„გაუბედა“ დიასახლისმა.

— არაფერიც არა აქვს ზომიერად, თბილ წყალსა გავს—ვითომც ესეც წვნიანია, ტყუილუბრალოდ ფანტავ ფულებს.

დიასახლისმა მეორედ დაუმატა იგივე კერძი.

— ეს რა არის? — ცარიელი მარილია, ასეთი დამლაშება მხოლოდ უცოდინარს შეუძლიან.

— ეს ხომ იგივე წვენია, რას მიზეზობ? — წყრომით მიუგო დიასახლისმა.

— იგივე?

— დიაღ, იგივე, ყოველთვის ასე იცი, აიხირებ განგებ და ადამიანს მოთმინებიდან გამოიყვან.

ქალი ატირდა, დიდხანს ზლუქუნებდა, კირკიმელმა იგრძნო დანაშაული და მიეფერა:

— კარგი, გენაცვალე, ნუ იტირებ, ცუდ გუნებაზე ვარ და იმიტომ ვბრაზობ,—დაწესებულებაში საათი დავკარგე.

— საათი? უი ჩემს თვალებს, რაღა გვეშველება?

კირკიმელმა გაიცინა.

— არა, ჯიბის საათს კი არ გეუბნები, წარმოიდგინე დაწესებულებაში მთელი ერთი საათი განუწყვეტლივ ვიმუშავე და მხოლოდ შვიდ საათს ვისვენებდი.

ინკიბუსი.

ეკონომიის „გამკეთებელი“

„... ზოგი ჩვენი სამეურნეო მუშაკი კაპიტალების ეკონომიისათვის ბრძოლაშია გართული, მაგრამ ათას მანეთებით—დანაკარგს კი ყურადღებას არ აქცევს.“

ნაცნობი ფრაზა კორესპონდენციებიდან

ნახატები **დონისა**



— რა უშავს, ფეხით გავყვები ტრამვაის, სამი შაური ჯიბეში დამრჩება.



— ევრიკა, ეს კარგი აზრი მომივიდა: ავტობუსს გავყვები და ათი შაური დამეზოგება. ..

— ბიჭოს, ეს როგორ გამოვიდა? ერთ გაქცევაზე დახეულ ფეხსაცმელის გაკეთებაში მეჩეკმე ხუთ თუმანს თხოულობს.

ნიანგთან ერთად—კახეთისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა მაკიცება უნდა: მატარებელი ყოველთვის სადგურიდან გადის. მაგრამ ამ უდავო ჭეშმარიტებაში მხოლოდ მაშინ რწმუნდებით, როცა თბილისიდან კახეთს მიდიხართ.

დანიშნულ საათზე უახლოვდებით სალაროს. აქ უცნაური ჯარჯამაათი გვხვდებათ—ესაა კალათების, ხელყუთების, ხურჯინების. ხელკასრების მწკრივი. ადამიანების მაგიერ ეს სიმპატიური ნივთები მოძრაობენ. აწვებიან ერთმანეთს, ჭყლეტენ, იჭყლეტებიან, ეხლებიან გამგელელ-გამომვლელთ. ადამიანები მათ უკან მისდევენ მხოლოდ. თითქოს იგივე ნივთები ლაპარაკობენ ერთმანეთში ტკბილმოუბარად:

—მაიცა, სად მიაბოტებ შე ვერანავ ჰა?

—შე თითონ ვერანავ, ვერა მხედავ სადაც მივაბოტებ?

—არა, მაინც სადა ძვრები?

—კი არა ვძვრები—სალაროში მივჯივარ.

—ჰოდა მეც ხომ იქ მივდივარ?

—მერე?

—მერე ისა, რომ ჯერ მე მაცალე, წინა ვარ.

—ახლა მე ვიქმები წინ და შენ მაცალე.

თქვენ არ იცით, მართლაც „კალათა“ იყო წინ თუ ხელკასარი, მაგრამ ეს საკითხს არ სწყვეტს. საკითხს ის ფაქტორი სწყვეტს, რომ როგორმე თქვენც უნდა „გადააბოტოთ“, ან „შეძვრეთ“, რამოდენიმე ნაკენიც გასწიროთ იმისათვის, რომ ბილეთი იგდოთ ხელში, და ახლა ბაქანზე გასვლის პროცესში მიიღოთ მონაწილეობა.

—ოოო, ამას მართლაც პროცესი ეთქმის:

უფრო ზუსტად ეს ღია ცისქვეშ გამართულ სპექტაკლსა ჰგავს: შეიძლება კომედიაც, შეიძლება ვოდევილს – ცოტაოდენი ტრაღიზმით, ერთის სიტყვით სათეატრო ჟანრი აქ პირობითია.

მოქმედება, ჩვეულებრივ იმით იწყება, რომ ბაქანზე გასული კალათ-ხურჯინები უცბად და თავგანწირულად გარბიან—რა თქმა უნდა, პატრონებთან ერთად.

ამ იერიშით ისინი გაივლიან ნახევარ კილომეტრს მაინც, რადგან კახეთის მატარებელი ჩვეულებრივ ამ მანძილზე ჩერდება ხოლმე. ეტყობა, სადგურის ადმინისტრაციას ეშინიან კახელი მგზავრების ბაქანთან ახლოს მიშვებისა: კაცნი ვართ, ამ კუთხის მცხოვრებნი ხომ კარგ მეომრებად ითვლებოდნენ, ვაი თუ ამ ვაგონების დაპყრობისათვის ბრძოლაში ადვილად დაგვმარცხონო. ეს მართლაც წინდახედული ზომაა თბილისის სადგურის ადმინისტრაციისა. მართლაც კაცნი ვართ.

იერიშზე გადასული კახელები ბოლოს აღწევენ მატარებლამდე, რადგან იგი იცდის გრაფიკით დაწესებულ დროზე უფრო მეტს. თუმცა რომ არც იცდიდეს, მაინც ადვილად მეოწვევიან, რადგან კახეთის მატარებელი კახელი კაცივით დინჯია და აუჩქარებელი. მიიზლაზნება ქლოშინით, ხვალაც ამ თვისაო—ფიქრობს.

იმას კი, ვისაც ეჩქარება, შეუძლიან ფეხით იმგზავროს, ვინ უშლის?

ჰო, მართლა, მე ნიანგის მოგზაურობის შესახებ უნდა მეამბნა და, სხვებს მგზავრობაზე კი—ჩამოგიგდეთ სიტყვა. თავს აღარ შეგაწყენთ: იგულისხმეთ, რომ ზემოთნაამბობი პროცესი მე და ნიანგმაც განვლეთ, ვიდრე მატარებელთან მივიდოდით,

—არ შეიძლება,—მკვახედ უყვიროდა კონდუქტორი მიჯგუფებულ მგზავრებს.

—რატო არ შეიძლება ქრიჰტიანო, რატო?

—ისთე. არ შეიძლება.

—მიხეხი გვითხარ ადამიანო, რატო არ შეიძლება?

—არ შეიძლება იმიტომ რომე ეს ვაგონი რბილია...

—ეჰეი, იგეთი რბილი როგოა რომ ვერ დაგვიმაგროს?

—რბილი იყოს, განა რბილი კი მაწყენს?

—განა დოხტურმა დამიშალა რბილში არ ჩაჯდეო?

—გამიშვი რაღა.

—რავა გაგიშვა შე ჯიუტო, აქანე ბილეთი ძვირი ღირს.

ამ განმარტებამ უცბად გასჭრა — კალათ — ხურჯინ —ხელკასრები მოსცილდნენ რბილს და „გამხმარ“ ვაგონს მიაშურეს.

მე და ნიანგი უინციდენტოდ შეველით. ჩვენს კუპეს მივაგენით და ადგილებს დავუწყეთ ძებნა. ნიანგის ადგილზე ვიღაც მოქალაქე გაშოტილიყო და ხვრინავდა. იქვე, მაგიდაზე ბოთლით ღვინო, ჭიქები და საუზმე ელაგა. ეტყობოდა წახადიმებაც მოესწროთ. კონდუქტორს დავუძახეთ და ადგილის განთავისუფლება მოვსთხოვეთ.

—საიდან მოგიტანოთ ადგილი, ხომ ხედავთ რომე უკე დოუკავებია ამ მოქალაქეს?

—კი მაგრამ ადგილი ხომ ჩემია, აი, ბილეთი!

—ბილეთი მაგასაცა აქვს, რავა, უბილეთოთ ამოუშობდი თუ? თუ ადგილი გინდოდათ ადრე მოხვიდოდით არ გაიღვიძო მაი პატიოსანი პიროვნება.

—როგორ, განა ერთ ადგილზე ორი ბილეთია გაცემული?

—აპა, მაშ რავა იქნება, კახეთის მატარებელზე ასთე რომაა არ იცი?

—ეგ რაღაც უთავბოლობაა, მაჩვენეთ მატარებლის უფროსი, – სთქვა ნიანგმა და მობრუნდა კუპეში. კონდუქტორმა დაინახა ნიანგის კუდი, დააცქერდა, ჯერ განცვიფრდა, შემდეგ გაბრაზდა.

—უკაცრავად, მოქალაქე, გოსთვის ჩაბრძანდეთ დაბლა.

—რატომ?

—იმიხა, რომე ჩვენ აქანე კუდიან მგზავრებს არ ვუშვებთ.

—მე ბილეთი მაქვს და ადგილს მოვითხოვ.

—ნიპადკაკიმ ვიდომ, ჩვენ უსტავში არ გვიწერია რომე კუდიან მგზავრებს ბილეთები მიეცეთ და ადგილი დოუცალეთო.

საქმე იქამდე გამწვავდა, რომ ნიანგმა ჩანგალი მოიმარჯვა და თავისი ვინაობაც გამოამეღავნა. უნდა გენახათ როგორ თავზარი დაეცა მოკინკლავე კონდუქტორს

—უკაცრავად ბატონო, მარცხათ ვერ შეგამჩნიეთ, რომ ნიანგი ბრძანებულხართ. თქვენ რავა გაწყენიებთ. ახლავე, — ჩაილუღლუღა მან და ებდღვნა მძინარეს.

—მოქალაქე, ადე ზეით, რავა გაშვართოულხარ აქანა ვაცის ტყავივით, სხვის ადგილზე?

მოქალაქე წამოიწია წყრომით.

—რა გინდა კაცო?

—რა მინდა და ცოლიკოური, რომ დაგიკავებია სხვისი ადგილი რას შობი ახლა?

—შენ თვითონ არ დამაწვინე? აბა რაში მოგეცი სამაღარიჩო?

—ადე ბიძია, ადე, მე თავისუფალი ადგილი მოგეცი თვარა, ასეთი პატიოსანი პიროვნების ადგილი თუ იყო —რავა მეგონა? ნიანგია, ვერ ხედავ?

ნიანგის სახელის გაგონებაზე მოქალაქემ თვალები სჭიტა, წამოხტა, დასტაცა ხელი თავის ბარგი-ბარხანას და კუპედან გავარდა. კონდუქტორი უკან გაჰყვა და ახლა სხვისი ადგილი „დაუთმო.“

ჩვენ დავბარგდით. ნიანგის სახელი თურმე ელვასავით მოედო მატარებელს. ყველა დაზავდა, დაწყნარდა, ასე გასინჯეთ, კონდუქტორებმა თავაზიანადაც კი დაუწყეს ლაპარაკი მგზავრებს. ორთქმავალთან ვიღაცამ სთქვა:

—ახლა ზუსტად უნდა გავიდეთ ხომ იცი შენ?

—ვითომ რათაო? — კახეთის მატარებელს რაში დასჭირდი სიზუსტე?

—ნიანგი ჩამჯდარა შიგ, ვერ გაიგე?

—მართლა?—აბა მაშ მიეცი სიგნალი...

* *

მატარებელი დაიძრა წყნარად, დინჯად, ჭრიჭინით დაიწყო რწევა ისე, რომ ნიანგს ნილოსის ნელი ტალღები გაახსენა, მე კი—ბავშვობის აკვანი და ორივემ თვლემა დავიწყეთ. როგორც სჩანს, შემდეგ დაკვძინებოდა, კიდეც რადგან ორივემ კაი სიზმრები ვნახეთ.

—მელა-ანი, მელა-ანი,—ჩაგვძახა ვიღაცამ ყურში.

ძლივს გავიხსენეთ, რომ მელაანში უნდა ჩამოვმხტარიყავით და ჯამალ დაბლა გავჩნდით.

—სიღნაღში მივდივართ,—განვუცხადეთ ავტობუსის შოფერს.

—კარგი სურვილია,—ირონიით გვითხრა მან.

—მანქანით გვინდა წასვლა.

—ჩინებული აზრია.

—ხომ წაგვიყვან?

—ვინა, მე?

—დიაღ, შენ... განა შენ შოფერი არა ხარ?

—მერე რომ შოფერი ვარ?

—წაგვიყვანე.

—არა გეთაყვა, ადგილი არ არის... და ჩაიცინა.

—რას იცინი ამხანაგო?

—ერთი ამას უყურე და, ძლივს ავტობუსი ჩამომიყვანია, ძმაკაცებისათვის პირობა მიმიცია, მგზავრებისაგან პატივისცემა მიმიღია,—ეს კი იძახის წამიყვანეოფიე!

—მაშ რა ვქნათ? ხომ იცი, ისეთი ალბი ვართ, რომ პატივისცემა ჩვენც ვიცით.

—ეგ სხვა თაბაუთია,—მაშ რახან ეგრეა—სახურავზე დასხედით, დაბლა ადგილი აღარ არის.

—ეგ როგორ იქნება?

—ვა, ერთი ამათ უყურე; თანაც სწუნობენ და .. შე მამაცხონებულო, იქ უფრო კარგი ჰაერი არ არი? — ჰაერისათვის დაჩაზე მიდიან ხოლმე, შენ კი სწუნობ?

მართლაც ჭკუაში დაგვიჯდა. ავცოცდით, მაგრამ იქ „ჰაერის მოყვარული“ სხვაც ბევრი აღმოჩნდა და ადგილი ძლივს ვიშოვეთ.

—რათ შვრებიან ასე? შეეკითხე იქ ჩემსავით გაჭირვებაში მყოფ ქალს.

—მაშ რა ქნან, გენაცვალე, ერთი ჯაგლაგი ავტობუსი დადის, დღემი ათჯერ ფუჭდება. როცა მოახერხებენ, მაშინ მაინც რომ არ წაიყვანონ, შოფერები ცოდვანი არ არიან?

—რათ არიან ცოდვანი?

—იმითვინა რო...

მოსაუბრემ ვეღარ მოახერხა გაგრძელება, რადგან ჩვენ უკვე სიღნაღის ოღრო-ჩოღრო ქვაფენილებს მივადექით და ავტობუსმა ვალეიბოლივით დაიწყო ახტომ-ჩახტომა.

—სტოპ, ჩამოდით,—ამოგვძახა შოფერმა, — როცა ოთარაანთ სარდაფთან ერთხელ კიდევ ჩახანყდა მანქანა.

—ჩამოდით, შინა დაეშვა, მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოვედით.

ჩვენ ჩამოვცოცდით ბუზღუნით და, ძალაუნებურად შევუდექით ჩვენი სუფთა და კოპნოა სიღნაღის ჩვენსავით ტალახში და მტვერში ამოგანგლული ნაწილის დათვალიერებას.

ნახ. ან. კანდელაკისა



გარიცხულის „არგუმენტი“

— პარტიის კანდიდატობიდან გამრიცხეს, წარსულის დამალვისათვის.

— სწორია, არ უნდა დაგემალა.

— მაშ ყველაფერი რომ მეთქვა, კანდიდატად ვინ მიმცემდა?

მოდი, ნახე!

ნახატები **დონისა**

როცა სკოლაში აგვიანდებათ

ღრმაღელ-ის (ლანჩხუთის რაიონი) სასოფლო გზაზე წყლის გუბეები დგება. მოწაფეები მწობლებს გადაჰყავთ ზურგით.

ნ. ტ-ძე

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მრავალშვილიან მშობელს უჭირს.

სუფსელების მიღწევა

სუფსის ჩაის ფაბრიკაში ზოგიერთ თანამშრომელს სამი-ოთხი თანამდებობა აქვს შეთავსებული და ამდენსავე ხელფასს ღებულობს.

ის.

ახალი გამოგონება იმის შესახებ, თუ

ახალი განმარჯვება

ჭანჭათის (ლანჩხუთის რაიონი) სამკითხველოს გამგეთ ჰყავს შეთავსებით მომუშავე ფინმუშაკი ბ. გოგუაძე, რომელიც სამკითხველოში არაფერს აკეთებს.

ი-ძ.



— აქაც ფინმუშაკობს, ჩვენი გოგუაძე, ფინაჩი მუშაკის გარდა ასე ვინ წარმართავდა სამკითხველოს საქმეს!

ყლაკმეურნე

სოფ. **კორცხალი** (ხუგდიდის რაიონი) კოლმეურნე კომკავშირელ კიკი ქობალიას არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია.

შ. თ.



— შრომადღე არა გაქვსო?! რა ვუყოთ მერე: სამაგიეროდ დღეში ათ ჭამადღეს ვიმუშავებ.

მოანავრეს

სოფ. **აბასთუმნის** (ხუგდიდის რაიონი) კოლმეუოიეობის სახანძრო დაცვის უფროსს ან. ბერიშვილს უსაყვედურებენ, რომ მას რამოდენიმე თვეა არაფერი გაუკეთებია.

ზეპირ ქრონიკიდან



ბერიშვილი:—აჰ, ერთი ორ შენობას რომ ალი მოედებოდეს, დამკვრელი მეხანძრის სახელი ხელში მიქნიბოდა!

უსაშინელესი მტერი

მართალი თუ გნებავთ, კაპიტონ კვირტაძეს ტყუილად შეარქვეს „ინტრიგანების უსტაბაში“. ის, ისე ვთქვათ, ახირებული კაცი იყო მხოლოდ.

მის ინტრიგებს არასოდეს არ ჰქონია რაიმე ანგარებითი მიზანი. ის, როგორც იტყვიან კვიმატი ენის პატრონი იყო და აჩემებული ჰქონდა ყოველ საკითხში უმრავლესობის წინააღმდეგ წასულიყო.

ერთ დღეს მაგალითად, კოლმეურნეობის კრებაზე დაისვა საკითხი, რომ დაეჯილდოებინათ კოლმეურნეობის წევრი მყნობელი, ბუბუნაშვილი, რომელმაც თავისი გამოგონილი ახალი მეთოდით დიდი სარგებლობა მოუტანა კოლმეურნეობას. მის დაჯილდოებას ყველანი მხარს უჭერდნენ, კვირტაძე გამოვიდა, მოითხოვა დაჯილდოების ნაცვლად მისთვის გამოეტანათ საყვედური, რადგან, ის ამტკიცებდა ბუბუნაშვილს ეს მეთოდი შეეძლო შარშან გამოეგონებია და კოლმეურნეობისათვის მეტი სარგებლობა მოეტანაო. ამ შემთხვევის გამო დიდხანს დასცინოდნენ მას.

კვირტაძე საყვედურობდა, მტრები მყავს კოლმეურნეობაში და მდევნიანო.

ერთ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, გაიმარტოვა, კვირტაძე და საიდუმლოდ გადაუჩურჩულა:

— შენ მართლა გყავს უსაშინელესი მტერი, მე ამაში დავრწმუნდი, მაგრამ აბა შენ თუ გამოიცნობ?...

კვირტაძემ ჩამოთვალა გვარები, მაგრამ თავმჯდომარემ ყველაზე უარით ანიშნა, არა ესენი არ არიანო.

მაშინ კვირტაძემ უთხრა მე მეტი არ მეგულება და აბა მითხარი შენ თუ იცი ჩემი მტერიო.

თავმჯდომარემ იქით-აქეთ გაიხედგამოიხედა, თითქოს, ხომ არავინ გვიყურებსო და ჩურჩულით უთხრა:

—გამოყავი ენა გარეთ!

კვირტაძემ მაშინალურად გამოყო ენა..

— აი, ეს არის შენი უსაშინელესი მტერი! უთხრა თავმჯდომარემ.

მაღალმაღალი.

თიანეთის რამე-რუმე

კლუბში

თიანეთის კლუბში სურათ
„ტრაქტორისტებს“ დავეს წარი,
მაგრამ ხათას ძლივს გადავრჩი,
გარეთ ძლივსღა გავასწარი.

იმ წუთშივე ჩემს ცხვირის წინ,
მუშტი-კრივი გაიმართა,
აწრიალდა მთელი ხალხი
ყვირის პეტრე, ჰკივის მართა.

ნაშუადღევს, როს გათავდა
ეს სურათი და ის კინო,
შიგნით შეველ და შევნიშნე,
ამშვენებდა სუფრას ღვინო.

როიალის თავზე იყო
სუფრა ფართოდ გადაშლილი,
და თამადად გამგე იჯდა
ჩვენი, არტემ გოჯაშვილი.

გამიკვირდა,—მიპასუხეს:
—ღვინის რატომ არა სვამთო!..
ამაზე კარგ წარმოდგენას
აქ ვერასდროს ვერა ვდგამთო.

წარმოდგენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფიშები გვაუწყებდა:
„დღეს საღამო იმართება,
ვდგამთ „გამზრდელს“ და უფასოა
გათბობა და განათება“.
საღამოს სთქვეს:—სპექტაკლსა ვხსნით,
კონცერტს უნდა მოუსმინოთ.
გაინაბა ხალხი მყისვე,
ახმაურდა პიანინო.
„აბესალომ ეთერიდან“
შეასრულეს „არიები“,
შემოსავლით იმავ ღამეს
ბლომად სჭამეს ვარიები.

ქალაქში

დავუშვათ, რომ არის კვირა,
და თქვენ გახდით უცბად ავად,
სჯობს თავი არ შეიწუხოთ
აფთიაქის სანახავად.
აქ **ფოსტისა** მუშაკები
ამაყობენ ასეთებით:
თვეში ერთხელ გვახარებენ
ახალ-ახალ გაზეთებით.
სადალაქოს მივაკითხე
და ნაწყენი არ დამტოვეს,
ცალი ყბა და ცალი ყური
სამ მანეთად დაიტოვეს.
სასადილოც ვინახულე,
მაგრამ მგონი უკვე კმარა...
ისე გამფცქვნეს... ჭამის შემდეგ
აღარ დამრჩა გროში-ფარა.
მოდის ავტო, მოდის ხალხი
და ამ გზაზე... (თუა კვირა)
შოფერიც და მთვრალი ავტოც
გადადიან თავდაყირა.

თიანელი.

ფესვიანიძის გმირობა

(სცენა გელათის სადგურში).

(მატარებელი გაჩერებულია სადგურ გელათში, მოსაცდელ დარბაზში შემოდის რევიზორი ფესვიანიძე, მთვრალი).

პირველი მგზავრი — რამდენ ხანში გავა მატარებელი?

ფესვიანიძე — მატარებელი გავა ოც წუთში.

მეორე მგზავრი — რადიომ გამოაცხადა 5 წუთში გავაო.

ფესვიანიძე — შე კაცო, რადიო რომ მართალი იყოს დღეს მისი სიტყვით წვიმა უნდა მოსულიყო, მაგრამ ხომ ხედავ როგორ ცხელა, ლამის თავი გაშისკდეს (ადებს შუბლს ღუმელის რკინას).

პირ. მგზავრი—არა, ეტყობა არ შემცდარა, თქვენსკენ უწვიმნია

ფესვიანიძე — გეტყობა, არც შენ გაწყენს პატარა დასველება. მოდი ჩავიდეთ და არაყი დავლიოთ.

პირვ. მგზავრი — არა, ამხანაგო. მე ავად ვარ, ექიმმა ამიკრძალა სმა.

ფესვიანიძე — რამ შეგაშინა ყაზახო! გამოჩენილი მწერალი ალ. ჭავჭავაძე ამბობდა:
„რაც სენი უკურნალ იყოს
ღვინოა მისი წამალი“-ო.
მაშ ღვინო მაინც დავლიოთ.

პირვ. მგზავრი — ბოდიში, მაგრამ არ შემიძლია, მაწყენს.

ფესვიანიძე — კონიაკზე რას იტყვი?

პირვ. მგზავრი — იმას ვიტყვი, რომ ვერ დავლევ.

ფესვიანიძე — აბა მარტო წყალს ცხოველიც კი სვამს. რით განსხვავდები ეხლა შენ მაგალითად პირუტყვისაგან?

პირვ. მგზავრი — კაცო, ლანძღვას რას მემართლები, ხომ იცი, რომ კუჭის...

ფესვიანიძე — რაო! მუჭისო? ვის აშინებ შენი მუჭით?

პირვ. მგზავრი — ეს ვინ გადავიკიდე! შენ ძმაო შარზე ხომ არ ხარ?

ფესვიანიძე — (იმკლავებს. მგზავრები ამშვიდებენ, —მე თქვენ გიჩვენებთ. გადაგეკიდე რა ხურჯინი ვარ?
(ფესვიანიძე უცებ გაექანება მგზავრისაკენ და თავს ღუმელს შეახლის).
— ჰااا! უკვე იცემები არა? აბა ახლა დაგიზილავ შენ მაგ გვერდებს. (სცემს).

პირვ. მგზავრი — ეს ოხერი საგიჟეთიდან ხომ არ გამოქცევიათ. მიშველეთ, მომკლა! (შემორბიან კონდუქტორები, აგრეთვე მთვრალები).

პირვ. კონდუქტორი — (ჰკოცნის რევიზორს ტუჩებში) ამ ბრიყვ გლეხს როგორ გაუცვალე ჭკუა, აგრე ხომ ნაობახტში ჩაგაგდებენ ჭირიმე?

მეორე კონდუქტ. — (შეუტევს მგზავრს) ჰატ, შე ოკრიბელო გაკმინდე ხმა, თორემ შეგისრულე რაც დაგაკლდა, რა გაღრიალებს ოხერო! (სამივენი იწყებენ სიმღერას: „ოუ ჩელა სიჩეჩელა“. ისმის მატარებლის გასვლის ზარი. ძმაბიჭები გარბიან).

ვ. მ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარები

— გარეთ გიცდით ერთი მთხოვნელი, სურს მოგილოცოთ ჩვენს მთავკანტორაში მუშაობის სამი წლისთავის შესრულება.

— მან საიდან იცის ეს?

-- იცის, სრული სამი წელია, რაც თქვენთან დადის ერთი საქმის გამო.

ნახ. ბ. პრაროკოვისა

— რა ზომებს ღებულობთ წუნის შესამცირებლად?

— ვუშვებთ სერვიზებს თორმეტის მაგიერ — ცხრა. თეფშის კომპლექტით.

დრამატურგი—წუნის მკეთებელი:—არ მესმის რატომ ლანძღავენ ჩემი პროდუქციის ხარისხს? მე ხომ ზუსტად ვიცავ სტანდარტს?

ნახ. ა. რადაკოვისა



სახიფათო წინადადება

— ვასილ პეტრესძევ, ხომ არ შეგიძლიანთ ახლა გადაიხადოთ კავშირის საწევრო?

— რასაკვირველია შემიძლიან, მობრძანდით შიგნით, ლია.

— მაშასადამე თქვენ კარგ დაზგებს უშვებთ?

— ერთი-მეორეს სჯობია... ორში—ერთი წუნდებული.

კბილგასაკრავი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყიბულის რამე-რუმე

ფოსტას ფული ჩავურიცხე
და რადიო გამიკეთა:
მომაკვდავივით ხრიალებს,
მოსვენება დამიფეთა.

ჩვენი კავშირგაბმულობა
გამოგონებით ამაყობს:
რადიო და ტელეფონი
ერთ მავთულში ლაპარაკობს.

ნათურები მოუხსნიათ,
ქუჩებს თვალს ვერ ვატანებო,—
კომგანი კი მხიარულობს:
შუქშენიღბვას ვატარებო.

ჩვენს რკინიგზის ახალ სადგურს
აშენებენ რიყესავით,
აგებენ და კვლავ ინგრევა
იმ სურამის ციხესავით.

ავტობუსო, ერთი მითხარ,
შენგან როგორ გავიხარო:
დარში სიარული გიყვარს,
ავდარში არ დადიხარო.

სასადილოს მუშაობა
ისე არის აგებული,
ვერ სადილობ, თუ არა გაქვს
შვებულება აღებული.

გიმიკო.

თათბირი, რომ ჩაატარეს...
(ხრესილი, ტყიბულის რაიონი).

ბალბოსტანის ტრესტის მმართველს,
კაცს ჭაღარა მოკიდებულს,
მოუვიდა აზრი თავში:
—თათბირს გავხსნი აქ დიდებულს.

გამოაცხო მიმართვები,
გაუგზავნა ყველას ფოსტით,
„ვისაც ტრესტთან კავშირი გაქვთ
ხვალ დილითვე ჩვენთან მოდით“...

მოგროვდნენ და ბალბოსტანშიც
მუშაობა შეაჩერეს,
კამათით და მოხსენებით
ცა და მიწა შეაჯერეს.

მოიხსენეს ყველა პუნქტი,
ყველა გამგე—ხილის, ბოსტნის,
—გეგმა უნდა შესრულდესო—
ტრესტმმართველი სიბრძნეს მოხსნის...

სიტყვები რომ გაათავეს,
სოცშეჯიბრი „გაიშალა“,
კრება დილით მოწვეული,
საღამოხანს დაიშალა.

—სამუშაო საათებში
აწ თათბირი ჩანატარი,
ვინ ჩასთვალოს გაცდენადა,—
თათბირიც ხომ შრომა არი?

„ასაბუთებს“ ასე ბრძნულად
ტრესტის გამგე ჩვენი პავლე.—
ოუკი მართლა ასე არის—
ეს, ნიანგო, შენ ასწავლე.

ვ. ჭოლოკაძე.

კონსულტაციამ რა ქნა...

ჯიხირო ჯინჯიხაძე ძალიან კმაყოფილი იყო, მით რომ როცა ის მეათე შვილს მოელოდა, მის სოფელში ქალთა საკონსულტაციო პუნქტი გახსნეს. მართალია, მისი მაღალნაყოფიერი მეუღლე აკვირინე მორცხვობდა კონსულტაციაში მისვლას, მაგრამ ქმარი არ მოეშვა და ერთ მშვენიერ დღეს იგი ხსენებულ პუნქტში მიიყვანა.

— აგი ჩემი ცოლი აკვირინეა, გაიცანით ქალიშვილო, ცოტა მუცელი წამოეზარდა, მგონი ორსულად უნდა იყოს, ექიმს უნდა ეჩვენოს.—აუხსნა ჯიხირომ რეგისტრატორ ქალს. უკანასკნელმა ქაღალდები გადმოალაგა და ორსულობისა და მშობიარობის ინდივიდუალური ანკეტის შევსებას შეუდგა.

— გვარი, სახელი და მამის სახელი,—დაიწყო რეგისტრატორმა.

— აკვირინე, კვიროსის ასული კვირიკაძე—ჯინჯიხაძისა.

— რისთვის მოდით კონსულტაციაში?

— როგორ რისთვის ქალიშვილო!

— უნდა უპასუხოთ ანკეტას: „მოვიდა—რჩევისათვის, ავადმყოფობის გამო, უნაყოფობის გამო, მოწმობისათვის, მუცელის გაცუდებისათვის...“

— მუცლის გაცუდება რა საკადრისია ქალიშვილო, ან უნაყოფობა, ღმერთო მომკალი ახლა... სად მომიყვანე შე სასიკვდილე!

რეგისტრატორმა სულმოუთქმელად დაუყარა კითხვები:

— ვისთან ცხოვრობს: მარტო, ქმართან, მშობლებთან. გატარებულია თუ არა მმაჩში, ეროვნება, განათლება, მისამართი, ქუჩა, შესახვევი, ჩიხი, სახლის ნომერი.

ჯიხირო და აკვირინე ვერც კი ასწრებდნენ პასუხის გაცემას, შეკითხვების ახალი ნაკადი სეტყვასავით მოდიოდა:

— ცხოვრების პირობები; საცხოვრებელი ფართობის სიდიდე, რომელ სართულზეა, კიბე ხისაა თუ ქვის...

— კიბ...—პირში შერჩა სიტყვა აკვირინეს.

— აქვს თუ არა სახლს წყალსადენი, კანალიზაცია, ვენტილაცია, როგორ იკვებებოდი რევოლუციამდე, როგორ იკვებები ახლა, ცივი საჭმელები გიყვართ თუ ცხელი...

— რა მოსაქმეობას ეწევით, დაასახელეთ თქვენი პროფესია.

— კოლმეურნ...—კვლავ ვერ დაამთავრა სიტყვა აკვირინემ.

— სად მუშაობთ, რამდენი კილომეტრია თქვენი სახლიდან სამუშაო ადგილამდე, ხომ არ ნერვიულობთ.

„დაუსრულებელ შეკითხვებში აკვირინეს გული წაუვიდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

რეგისტრატორიც დაიღალა. ბოდიში მოიხადა ჯიხიროსა და აკვირინესთან: თუ ცოტა არ შევისვენე იქნებ წესიერად ვერცკი შევავსო ანკეტა და თავიდან დასაწყები გახდებაო. მალე დაიწყო ახალი შეკითხვები.

— რამდენი ორსულობა გქონდათ?

— მეათეზეა, ბიძია, მეათეზე.—მიახალა პასუხი ჯიხირომ, რომელიც დოინჯშემოყრილი აქეთ-იქით დადიოდა.

— პირველი ორსულობა რომელ წელში გქონდათ და რით გათავდა იგი: ბუნებრივი თუ ხელოვნური მუცლის მოშლით, უდროო თუ დროული მშობიარობით. ბავშვი ცოცხალი დაიბადა თუ მკვდარი. რამდენხანს კვებავდი ძუძუთი. არის თუ არა ცოცხალი ახლა...

— უნივერსიტეტს ამთავრებს, ბიძია, ახლა უნივერსიტეტს!

რეგისტრატორი დაუბრუნდა მეორე მშობიარობას, მესამეს... მერვეს, მეცხრეს...

— რა სიმაღლისაა თქვენი ქმარი, რამდენს იწონის, როგორია მისი კონსტიტუცია: ასტენიკი, პიკნიკი, ატლეტი, ინფალტილი, გიპობლასტი, ინტერსექსი...

ვერც ჯიხირომ და ვერც აკვირინემ ამ შეკითხვიდან ვერაფერი გაიგეს და გაჩუმება ამჯობინეს.

რეგისტრატორი კი მაინც არ ეშვებოდა თავის ანკეტას:

— გადატანილი გაქვთ თუ არა რახიტი, მალარია, სკარლატინა, დიფტერიტი, ან სხვა რომელიმე ავადმყოფობა, როგორ მუშაობს გული. სისხლის მილები, მაჯა, ფილტვები, საჭმლის მომნელებელი ორგანოები, ღვიძლი, თირკმელები...

133 შეკითხვისა და ამდენივე ქვეშეკითხვებისაგან შემდგარი ანკეტის შევსება არც ისე ადვილი იყო. ანკეტაში ბევრი იყო, ისეთი შეკითხვა, რომლებიც წინასწარ საჭიროებდა ქირურგის, თერაპევტის, ვენეროლოგის, უროლოგის, ნევროპატოლოგის, ოფტალმოლოგის, სტომატოლოგის და სხვების სპეციალურ დასკვნებს.

რეგისტრატორს კიდევ ჰქონდა სხვა შეკითხვები.

— როდის იძრა პირველად ბავშვი, როდისაა მოსალოდნელი მშობიარობა...

— შეაჩერეთ შეკითხვების მოცემა,—ცივი ხმით იყვირა უცებ ჯიხირომ,—ქალმა უკვე მოიმშობიარა... ბიჭია ბიჭი!

ჯიხირო, ცოლთან ერთად მხიარულად დაბრუნდა სახლში და სამახსოვროდ თან მიიტანა კონსულტაციიდან ორსულისა და მშობიარის ინდივიდუალური ბარათის ბლანკი, რომლის პირველი გვერდის ბოლოში წვრილი ასოებით აწერია:

„სოიუზორგუჩოტ ა4 № 86 (3681) 1279, ტირ. 30.000“.

ტ. აცანელი.

ნახ. მ. ოთაროვისა

ზღვაც ნვეთებისაგან შესდგება



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შაურიანი პატეფონია, ჩემმა მეზობელმა გუშინ შეიძინა
— როგორ თუ შაურიანი?
— სულ უბრალოდ: ჩემი მეზობელი ხომ ტრამვაის კონდუქტორია...

ჩვენი ფოსტა

ისარატ-ს (თბილისი, ლენრაიონი).

მივიღეთ თქვენი ლექსი, რომელშიც აღწერთ კოლექტივიზაციის ქუჩის მცხოვრებლებთა უზომო გასაჭირს:

რომ იკითხოთ ჩვენ რას ვნატრობთ
მზეს თუ წვიმას—გეტყვით პასუხს,—
მზე სიცოცხლის მომტანია,
მაგრამ მაინც ის ჩვენ არ გვსურს
რადგან უწყლოთ ვიხოცებით,—
წვიმის მოსვლა გვაიმედებს,
ალიონზე გამოვიტანთ
და ცისქვეშ ვდგამთ კასრებს, ვედრებს. —

და გვეკითხებით: სად ვცხოვრობთ, თბილისში, თუ აფრიკის უდაბნოში? რატომ ჩვენზე არავინ ფიქრობს?

გიპასუხებთ: დიაღ, თქვენ ცხოვრობთ თბილისში, რაც შეეხება იმას ფიქრობს თუ არა ვინმე თქვენზე,—ეს არც ისე ძნელი გამოსარკვევი უნდა იყოს, რადგან ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ წყალკანალტრესტს აქამდე თქვენზე სულ არ უფიქრია. ვაცალოთ ეგებ მოიფიქროს.

გ. პ-ს (სოჩხეთი, ტყიბულის რ.).

ცნობილია, სასოფლო საბჭოს ზოგიერთი თავმჯდომარე უკულტურობას იჩენს კულტურულ დაწესებულების მიმართ,—ერთერთ ასეთ თავმჯდომარედ თქვენ ასახელებთ სოჩხეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ცნობილაძეს.

კაკომ გასცა ბრძანება
ჩვენს სოფელში ასეთი:
სამკითხველოს არც ერთი
არ დარჩესო გაზეთი,

აბრეშუმის ჭიასა
გაუფინეთ ნოხადა,
და ბრძანების ქვეშ გვარი
მოაწერა, მოხატა.

ამის შემდეგ, როგორც თქვენგან ვტყობილობთ, სამკითხველო მართლა გაუძარცვავთ.—ამ წლის გაზეთის მთელი კომპლექტი წაუღიათ და „აბრეშუმის ჭიისათვის ნოხად გაუგიათ". ამ საქმის გამოსარკვევად ნიანგის ბრძანებით სოჩხეთში მოვლინებულია მისი პირადი მდივანი.

რედაქციისაგან

ჟურნალზე ხელისმომწერლებს მოქ. იასო სალიაურს, იონა გვიჩიანს და რევაზ მიმინოშვილს ვთხოვთ შემოიარონ „ნიანგის" რედაქციაში.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ., 5 ტელ. 3-74-67

გადაეცა წარმოებას 1940 წ. 29/X ხელმოწერილია დასაბეჭდად 1940 წ. 12/XI გამ-ბა „ზარია ვოსტოკას" ა. ფ. შიასნიკოვის სახ. სტამბა, ქ. თბილისი

40-447

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მიხ. ლებეშევისა

უცხოეთის კლანეტარში

კაპიტალისტი: — ეშმაკმა დასწყევლოს, აქაც ხუთქიმიანი ვარსკვლავი შემხვდა!